პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 მაისი ხუთშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 117 (14721)

# პარტია მოგვიწოდებს

ერთ თვეზე ნაკლები დრო გვაშორებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. დადგა მეტად დიდმნიშვნელოვანი კამპანიისათვის მზადების ახალი, გადამწყვეტი ეტაპი. და სწორედ ამ დღეებში ჩვენს სამშობლოში მთელი ძალით გაიხმა ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის ხმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით პარტია მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, ჩვენი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, საბჭოებს დიადი ქვეყნის ყველა მოქალაქეს მიმართავს უბრალოდ, უშუალოდ, მკაფიოდ და ფაქტების შეულამაზებლად. მაგრამ, ამასთან, რაოდენ ამაღელვებელია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის სიტყვები!

როგორც წინა, ისე მომავალ არჩევნებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიდის უპარტიოებთან მტკიცე და ურღვევი ბლოკით. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკი კი ჩვენს ქვეყანაში იყო და დარჩება იმის ნათელ გამოხატულებად, თუ წლითიწლობით როგორ დუღაბდება პარტიისა და ხალხის, მთელი საბჭოთა საზოგადოების ერთიანობა.

საბჭოების ყოველი არჩევნებისათვის მზადება დიდმნიშვნელოვანი კამპანიაა, მაგრამ წლევანდელს სულ სხვა ელფერი აქვს. მას თან ხდევს ის დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, რაც გამოიწვია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავმა ზეიმმა. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ახალი და ახალი წარმატებები მოიპოვონ, სულ უფრო მძლავრად აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, იღვწიან, რომ ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებსაც, ვადამდე შეასრულონ მერვე ხუთწლედის გეგმა, ხელდამშვენებულნი შეეგებონ ჩვენი პარტიის მომავალ, XXIV ყრილობას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავიანთ პატრიოტულ სიტყვას ამბობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც მომავალ არჩევნებს ხვდებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადების ნიშნით. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის საწარმოებში, ცალკეულ შრომითს კოლექტივებში ყოველდღიურად იბადება ახალ-ახალი თაოსნობა და ინიციატივა, ფართოდ შლის მხრებს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება.

გულდასმით წაიკითხეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მმართველი ჩვენი ხალხისადმი, ღრმად ჩაუკვირდით მის თვითეულ სტრიქონს! კომუნისტური მშენებლობის სასიცოცხლო ამოცანების გადაწყვეტისაკენ რომ მიგვიძღვის, პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია ადამიანების მიმართოს, ესაუბროს გულღიად, სრული სიმართლით მოუთხროს იმაზე, თუ რა გაკეთდა წინა არჩევნების შემდეგ მთელი ოთხი წლის მანძილზე ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და სულიერი სიმდიდრის შემდგომი გამრავლებისათვის, მოსახლეობის ცხოვრების უკეთესი დონისათვის. დიახ, მმართველ სიტყვებში ოვალნათლივ ვხედავთ ჩვენი სამშობლოს სახელოვან წარსულსაც, აწმყოსაც და უფრო ნათელ მომავალს.

„ქვირფასო ამხანაგებო! — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, — უკანასკნელი არჩევნების დროიდან განვლილმა წლებმა ჩაიარა პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ნიშნით“.

პარტია ხალხს მოუთხრობს, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ხუთწლედის ოთხ წელიწადში თითქმის 39 პროცენტით გაიზარდა. მარტო 1970 წელს წარმოებული იქნება მეტი პროდუქცია, ვიდრე ყველა ომისწინა ხუთწლედში. უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური ინდუსტრია. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 1966-1969 წლებში წინა ოთხწლიულთან შედარებით 18 პროცენტით გაიზარდა. კიდევ უფრო განმტკიცდა მეურნეობათა ეკონომიკა. დიდია ჩვენი ქვეყნის წარმატებანი მეცნიერებისა და კულტურის, განათლებისა და ხელოვნების განვითარებაში. პარტიის პოლიტიკის მეოხებით უზრუნველყოფილია საბჭოთა სამშობლოს უძლეველი თავდაცვითი ძალიერება.

პარტია, მთელი ჩვენი ხალხი ამაყობენ საბჭოთა ახალგაზრდობის სასახელო საქმეებით, რომელიც განაგრძობს მამების რევოლუციურ, სამრეწველო და შრომითს ტრადიციებს, ამრავლებს ჩვენი საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეებს. ცხოვრებამ საუნებით დაადასტურა ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორე. მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის შვილები ხელიხელჩაკიდებულნი შრომობენ და იღვწიან ნათელი მომავლისათვის. ამ ბოლო ოთხ წელიწადში ეროვნული შემოსავალი ჩვენთან 31 პროცენტით გაიზარდა. ამაღლდა მშრომელთა სამინაო და სხვა საყოფაცხოვრებო პირობები.

მაგრამ ყოველივე ამ მიღწეულთან ერთად პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ლაპარაკია სიძნელეებზეც, ჯერ კიდევ არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებებზეც, ნათქვამია, რომ პარტია კვლავაც მთელ ძალებს მოახმარს ხალხთა ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლას.

აი რატომ არის, რომ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს — პარტიის წინასაარჩევნო პროგრამას — დიდი მოწონებითა და კმაყოფილებით შეხვდა მთელი ჩვენი ხალხი, მილიონობით მშრომელი.

სწორედ მათი აზრი კარგად გამოხატა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ საკოალას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ო. კიკნაველიძემ.

„ჩვენი კოლმეურნეობის წევრებს, — განაცხადა მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გაცნობისას, — განსაკუთრებით კარგად დაგვამახსოვრდა სიტყვები, რომლებიც ადასტურებენ ლენინის პარტიის განუხრელ ხაზს — შექმნას ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე.

14 ივნისს ჩვენი კოფლის მშრომელები — მეცხოველეები, მევენახეები, მეხილეები, სპეციალისტები—მივლენ საარჩევნო ურნებთან, რათა ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. ესენი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები არიან და გვწამს, რომ მათი საქმიანობა ხელს შეუწყობს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას“.

ამ დღეებში გამოქვეყნდა აგრეთვე პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიმართვა პროფკავშირების ყველა წევრისადმი და ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ახალგაზრდა ამომრჩევლისადმი. ამ დოკუმენტებში მთელი ძალით გაისმის მოწოდება, რომ თვითეული საბჭოთა ადამიანი მზურველად გამოეხმაუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას და ყველამ ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს — ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს.

ახლა, საარჩევნო კამპანიის ამ ახალ ეტაპზე, როცა ყველანაირ დამოკიდებულებაში დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია და მიმდინარეობს მათი სახარეგლო აგიტაცია, როცა უკვე დაიწყო ამომრჩევლებთან თავიანთი დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრებიც, ჩვენს აგიტატორებსა და პოლიტინფორმატორებს, ლექტორებსა და პროპაგანდისტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის სახით ხელთ აქვთ მეტად კარგი და დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი. იგი არჩევნებისათვის მზადების მთელ პერიოდში საფუძველად უნდა დაედოს პარტიული ორგანიზაციების საგიტაციო და პროპაგანდისტულ მუშაობას. ფართო მასებს ღრმად უნდა განვუმარტოთ მისი შინაარსი და მნიშვნელობა. საარჩევნო უბნებსა და აგიტპუნქტებში, ამომრჩეველთა კლუბებში და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — ყველგან უნდა მოეწყოს მოხსენებები და საუბრები სოციალიზმის დემოკრატიულ საფუძვლებზე, საბჭოთა კეთილის წარმატებებსა და მისი მომავლის გეგმებზე, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში თვითეული საბჭოთა ადამიანის აქტიურ მონაწილეობაზე.

და როგორც პარტია მოგვიწოდებს: ყველანი, ვისაც სურს, რომ უფრო აუკეთესდეს და განმტკიცდეს ჩვენი სამშობლო, შემდგომ განვითარდეს მისი ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა ამაღლდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა თვითეული საბჭოთა ადამიანი უფრო ბედნიერი იყოს ერთსულოვნად გამოცხადდებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოთავალ არჩევნებზე — 14 ივნისს და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

**ყველანი არჩევნებზე!**

## დეპუტატობის კანდიდატი ვასილ პაპიძე

# სწორედ შრომაში და მხოლოდ შრომაში

მაქსიმ გორკი ამბობდა: „**სწორედ შრომაში და მხოლოდ შრომაში არის დიადი ადამიანი**“... მართლაც, პატიოსანი შრომა არის ყოველგვარი სიკეთისა და ბედნიერების წყარო.

უხმაურო, კეთილსინდისიერმა შრომამ, გულმართლობამ და თავდადებამ მიანიჭა სიხარული და საყოველთაო აღიარება ჩვენს თანამოსაქმეს, მიწის წიაღში მარგანეცის მაგარ ქანებთან შერკინებულ ადამიანს ვასილ კონსტანტინეს-ძე პაპიძეს.

ვასილის ბიოგრაფია განსაკუთრებული როდია. იგი დაიბადა გლეხის ოჯახში 1924 წელს. საშუალო სკოლას ამთავრებდა, როცა საბჭოთა მიწა-წყალზე გერმანელი ყაჩაღები ვერაგულად შემოიჭრნენ. სამშობლო განსაცდელში ჩავარდა. ჭაბუკი ვასილი ჯარისკაცი გახდა. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა, მართალი საქმის გამარჯვების მტკიცე რწმენამ, გაუტეხელმა ნებისყოფამ ვასილი შეუპოვარ მეომრად ჩამოაყალიბა. მან ჩვეული სინდისიერებით მოიხადა მეხედრული ვალი და 1947 წელს მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, კარგი ოჯახი შექმნა.

თითქოს მაღარო ეძახდაო გამარჯე კაცს მარჯვენას. 1949 წლიდან ვ. პაპაძე ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროში მუშაობს მადნის მნგრეველ-ამშენებლად. თავისი ცხოვრების თითქმის ნახევარი ვასილმა ჩვენს გვერდით, მთების წიაღში გაატარა და კვლავ თავდადებულად შრომობს მეათე საწარმოო უბანში. იც წელზე მეტია ვასილი მაღაროში მუშაობს და არ გვახსოვს, რომ სამუშაოზე ერთი წუთით დაეგვიანოს ან სამუშაო გაეცდინოს.

ვასილი არა მარტო მარგანეცის ნგრევა-აწმენდის ოსტატია. მას გადაუჭარბებლად ვეძახით უნივერსალურ მაღაროელს. ვასილი დაუფლებულია მეგბეგეობას, რკინიგზელობას, მადნის სატვირთო მანქანის მართვას. გამრჯე მაღაროელი ცვლაში 14 ტონის ნაცვლად 25-30 ტონა მარგანეცს ანგრევს და ტვირთავს. მაგრამ ივი მხოლოდ პირადი გეგმის შესრულებით როდი გატაცებული. ვასილმა მზრუნველობით გამოზარდა ახალგაზდა მაღაროელები ბ. იაკობაშვილი, ლ. ცუცქირიძე, გ. იაკობიძე, ჯ. ღამბაშიძე და სხვები, რომლებიც ახლა მასწავლებელს არ ჩამოუვარდებიან. ეს გულწრფელად ახარებს, სიამოვნებას ჰგვრის მას.

გამრჯე მაღაროელი საკმაოდ სიტყვაძუნწია. როდი უყვარს თავის მიღწევებზე ლაპარაკი, მაგრამ მასზე შრომითი მიჩვენებლები ლაპარაკობენ. ახლახან შეეჯიბრა ვასილის შრომის ნაყოფი და აღმორნდა, რომ მარტო მიმდინარე ხუთწლედში მან მოიგნარია და დატვირთა 31 ათას ტონაზე მეტი მადანი, სამშობლოს გეგმის ზევით მისცა 8 ათას ტონაზე მეტი პროდუქცია, პირადი ხუთწლედი ორ წელსა და ორ თვეში შეასრულა და კარგა ხანია მარგანეცს 1971 წლის ანგარიშში იძლევა.

დიახ, კომუნისტი-მაღაროელი ვ. პაპაძე კომუნისტური შრომისა და ცხოვრების პირად მაგალითს იძლევა. მერვე წელია იგი შეურცხვენელად ატარებს კომუნისტური შრომის დამკერელს საპატიო წოდებას. მაღაროელმა კომუნისტებმა ვასილი პარტიული კომიტეტის წევრად აირჩიეს. იგი აქაც დაუზარებლად, საქმის ცოდნით ასრულებს დავალებებს. ამომწმებს შრომის დისციპლინის, მომჭირნეობის, წარმოების კულტურის საკითხებს.

როცა ჩვენი მაღაროს კოლექტივმა ჩვენი მეგობარი და თანამოსაქმე ვ. პაპაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ეროვნებათა საბჭოს ჭიათურის № 192 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა — ეს არავის გაკვირვებია. აი ნამდვილად ღირსეული კანდიდატი, კეთილსინდისიერი მაღაროელი, რომელიც გაამართლებს ნდობას — ამბობენ მშრომელები.

ვასილის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქ. ჭიათურის, საჩხერისა და ორჯონიკიძის რაიონების მშრომელებმა.

ამ დღეებში ვ. პაპაძე ამომრჩეველს შეხვდა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მ. დეკანოიძემ.

ნდობით აღჭურვილმა პირებმა და ამომრჩეველებმა შეკრებილთა გაიცნეს დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, უამბეს მის შრომითს წარმატებებზე. მათ განაცხადეს, რომ არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცემენ ხმას დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს ვ. პაპაძეს.

დეპუტატობის კანდიდატმა ვ. კ. პაპაძემ დიდი მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს ბაღალი ნდობისათვის.

**ა. ბანცაძე, ლ. ცუცქირიძე — ჭიათურის მარგანტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს მეათე საწარმოო უბნის მუშები, გ. ღოღელიანი — ამავე უბნის გამგე, ა. მჟედლიშვილი — მაღაროს მთავარი ინჟინერი.**

# ჯილდოები ღირსეულთ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ განხილეს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, პირუტყვის სულადობის ზრდისა და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმის შესრულებისათვის რაიონთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა პირველი ჯგუფის რაიონებში მიენიჭა ლაგოდეხის რაიონს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მეორე ჯგუფის რაიონებში მიენიჭა ტყიბულის რაიონს. (საქდესი).

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. მ. ლელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წლისთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კვაპაძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე**

თბილისი
1970 წლის 20 მაისი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

დამთავრდა საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ეტაპი — სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და რეგისტრაცია. ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში ეწყობა დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩეველებთან, ფართოდ განმარტავენ და განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ამომრჩეველებისადმი, ყველა მშრომელისადმი. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ერთსულოვნად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის საარჩევნო პლატფორმას, რომელიც ყველა საბჭოთა ადამიანის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს.

ამა წლის 20 მაისს ვ. ვ. ერშილოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. კომისიამ მოისმინა საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების მ. ს. ჯაკოვის (კავშირის საბჭოს არჩევნების ვიტებსკის № 578 საარჩევნო ოლქი) და ჯ. ს. მარტინოვსკის (ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ოდესის № 53 საარჩევნო ოლქი) მოხსენებები არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ი. პროხოროვის, კომისიის წევრების ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას, ს. მ. შენტალინსკის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეკონომიკურ ფინანსურ საკითხთა სექციის გამგის ა. ა. ეპიშევის ცნობები ამ საკითხზე.

კომისიამ აღნიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადების მუშაობა ყველგან მიმდინარეობს მაღალი ორგანიზაციულობით და პოლიტიკურ დონეზე, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულით გამოწვეული უდიდესი აღმავლობისა და აღფრთოვანების ვითარებაში. მშრომელთა კოლექტივების მრავალრიცხოვანმა კრებებმა, დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილმა საოლქო წინასაარჩევნო თათბირებმა, მათმა რეგისტრაციამ დამაჯერებლად გვიჩვენეს, რომ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკი ისევ მტკიცე და ურღვევია, როგორც ურყევი და ურღვევია პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ურჩია საოლქო კომისიებს კანსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ყოველდღიური დამპარობის გაწევას, ტენდენციურობისათვის შენობათა მომზადებისადმი კონტროლის გაძლიერებას, საუბნო კომისიათა უზრუნველყოფას საარჩევნო ბიულეტენებითა და სხვა დოკუმენტაციით, კომისიების მუშაობის ზუსტ ორგანიზაციას არჩევნების დღეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შედეგების შესახებ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა ი. ჯ. კაპიტონოვმა. მან განაცხადა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა დეპუტატობის კანდიდატები რეგისტრაციაში გაატარეს 1517-ვე საარჩევნო ოლქში, მათ შორის კავშირის საბჭოს არჩევნების 767 ოლქსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 750 ოლქში. კანდიდატთა რეგისტრაცია, როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილი ოლქებიდან ჩანს, მოხდა არჩევნების დებულების შესაბამისად, დადგენილ ვადებში.

რეგისტრირებულ კანდიდატთა შორის 31,7 პროცენტს მოწინავე მუშები შადგენენ. წარჩინებულ კოლმეურნეებთან ერთად ისინი შადგენენ დეპუტატობის კანდიდატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს.

დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრირებული არიან თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საბჭოთა არმიისა და ფლოტის წარმომადგენლები.

დეპუტატობის კანდიდატთა შორის 30,5 პროცენტი ქალია, მნიშვნელოვნად არიან წარმოდგენილი ახალგაზრდობა და კომკავშირელები; კანდიდატთა შორის უპარტიოები 27,7 პროცენტს შადგენენ.

ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატთა შემადგენლობა დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის თანმიმდევრულ და განუხრელ განვითარებას.

კომისიამ მოისმინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მეთაურის მ. პ. გიორგაძის ინფორმაცია საარჩევნო უბნებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ, აგრეთვე ამომრჩეველთა სიების შედგენის შედეგების შესახებ. სულ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა 167 ათასზე მეტი საარჩევნო უბანი და დამტკიცებულია ამდენივე საუბნო საარჩევნო კომისია. მათს მუშაობაში მონაწილეობს მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაახლოებით 1 მილიონ 400 ათასი წარმომადგენელი. ყველგან არჩევნების დეტალური ათვალისწინებულ ყოფილნი მომზადდა ამომრჩეველთა სიები. ახლა ეს სიები წარმოდგენილია საყოველთაო მიმოხილვისათვის. ამასთან დაკავშირებით სხდომაზე ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა სიების გულდასმით შემოწმება, რათა არც ერთი ამომრჩეველი არ გამორჩეს, რათა თვითეული დარწმუნდეს, რომ სიაში სწორად არის ჩაწერილი ცნობები მის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შედეგების შესახებ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა ი. ჯ. კაპიტონოვმა. მან განაცხადა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა დეპუტატობის კანდიდატები რეგისტრაციაში გაატარეს 1517-ვე საარჩევნო ოლქში, მათ შორის კავშირის საბჭოს არჩევნების 767 ოლქსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 750 ოლქში. კანდიდატთა რეგისტრაცია, როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილი ოლქებიდან ჩანს, მოხდა არჩევნების დებულების შესაბამისად, დადგენილ ვადებში.

რეგისტრირებულ კანდიდატთა შორის 31,7 პროცენტს მოწინავე მუშები შადგენენ. წარჩინებულ კოლმეურნეებთან ერთად ისინი შადგენენ დეპუტატობის კანდიდატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს.

დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრირებული არიან თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საბჭოთა არმიისა და ფლოტის წარმომადგენლები.

დეპუტატობის კანდიდატთა შორის

იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრი ამომრჩეველი არჩევნების დღეს გზაში იქნება, გათვალისწინებულია შეიქმნას საარჩევნო უბნები მატარებლებში, ხომალდებზე, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებში, ავიაპორტებში, აგრეთვე პოლარულ სადგურებში. ამ საკითხებზე კომისიამ მოისმინა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს მოადგილის პ. კ. ლომაშევიჩის, სსრ კავშირის სამოქალაქო საავიაციის მინისტრის მოადგილის ნ. პ. ბიკოვის, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის მოადგილის ა. ს. კოლესნიჩენკოს, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ვ. ვ. ელისეევის, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის მინისტრის მოადგილის ა. ფ. ვიდიეკის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ვ. ი. კორზუნის ინფორმაციები.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა საოლქო საარჩევნო კომისიებს ავიაჯავშნოს წარილი არჩევნებისათვის მზადების დამთავრებასა და მოწყობასთან დაკავშირებით.

კომისიამ განიხილა სხვა საკითხებიც.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ მთელი რიგ ცენტრალურ უწყებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლები. (საქდესი).

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა შეხვედრა

წინათ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, მიმდინარე წლის 18-19 მაისს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა შეხვედრა.

გამართულ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. მ. პაპუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ა. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ა. ვ. ბასოვი;

რუმინეთის მხრივ — რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაე ჩაუშესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ემილ ბოდნარაში, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი პაულ ნიკულესკუ-მიზილი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე მანია მენესესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრობის კანდიდატი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხაი გერე, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში თეოდორ მარინესკუ.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულახდილ, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ორივე ქვეყნისათვის საინტერესო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის პრობლემებზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომპარტიის დელეგაციებმა ერთმანეთს აცნობეს, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა მათს ქვეყნებში, განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება, განამტკიცონ და განავითარონ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრული ურთიერთობა.

## რუმინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა

19 მაისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა რუმინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნიკოლაე ჩაუშესკუ.

ვნუკოვოს აეროდრომზე რუმინეთის კომპარტიის დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ა. სუსლოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. პ. მ. პაპუშევმა და სხვებმა.

## თბილისიდან გაემგზავრა გ. გლაისნერი

ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაური დოქტორი გ. გლაისნერი, რომელიც საქართველოს სსრ რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით რესპუბლიკაში სტუმრად არის, და მისი თანმხლები პირები 20 მაისს სოხუმს გაფრინდნენ.

აეროდრომზე ავსტრიელი სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა მეუღლითურთ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. ი. ფრუიძემ მეუღლითურთ, ფ

# ხმა მივცეთ სამშობლოს აყვავებას

**შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან**

**დიდი** გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების სამტრედიის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრამ დეპუტატობის კანდიდატთან ამ ოლქში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან **გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძესთან.**

საზეიმოდ მორთულ რაიონულ კულტურის სახლში შეიკრიბნენ ოლქის ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების, კოლმეურნეობების წარმომადგენლები.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კოხრეიძემ. მან აღნიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. ეგებებიან რა არჩევნებს, მშრომელები ამრავლებენ ღონისძიებებს, ცდილობენ წარმატებით შეასრულონ ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის მიერ დასახული პასუხსაგები ამოცანების შესრულებაში. ამომრჩეველთა პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვებმა.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს ქალაქ სამტრედიის № 14 რკინიგზის საშუალო სკოლის დირექტორს გ. კანდელაკს. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზის, სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ. ოლქის ამომრჩეველები, თქვა შემდეგ გ. კანდელაკმა, არჩევნების დღეს სიხარულით მისცემენ ხმას პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძეს.**

სიტყვას ამბობს სამტრედიის ხისდამამუშავებელი კომბინატის დირექტორის მოადგილე თ. ჯვარშეიშვილი. სამტრედიის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა, თქვა მან, თავიანთი წინასაარჩევნო კრებებზე ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე. თ. ჯვარშეიშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა აღფრთოვანებით ემზადება კომბინატის კოლექტივი ქვეყნის საუნელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომავალი არჩევნებისათვის.

ლენინის საუბილეო ბაჯების ღლეებში მოპოვებული წარმატებებისათვის კომბინატის კოლექტივი დაჯილდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს ლენინის საიუბილეო სპატიო სიგელით. წარმატებით განაგრძობს რა საიუბილეო შრომითს ვახტს, კომბინატის კოლექტივმა ფართოდ გაშალა ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მან იკისრა ვალდებულება წლიური გეგმა შეასრულოს დეკემბრის პირველ ნახევარში.

ტრიბუნაზეა ეკონ მ. ნამიჩეიშვილი. ხმას მივცემთ რა არჩევნების დღეს კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, თქვა მან, ამით ხმას მივცემთ სამშობლოს შემდგომ აყვავებას. ორატორმა ილაპარაკა იმ დიდ გარდაქმნებზე, რომლებიც მოხდა წინა არჩევნების შემდეგ გახელილი დროის მანძილზე.

რაიონის ახალგაზრდობის სახელით სიტყვა წარმოთქვა კომკავშირის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. გელეიშვილმა. მან თქვა, რომ რაიონის ახალგაზრდობა დიდი აღმავლობით ემზადება ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომავალი არჩევნებისათვის.

ტრიბუნაზეა ახალგაზრდა ამომრჩეველი ნ. გოლეთიანი. იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობს იმაზე, რომ პირველად მიიღეს მონაწილეობას არჩევნებში, რომ სიხარულით მისცემს ხმას გ. ს. ძოწენიძეს — კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ღირსეულ კანდიდატს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აგრეთვე ვეგეტკორის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ბარათელი, წყლეკიძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ვ. ბელეშიშვილი და სხვები.

სცენაზე გამოდიან პიონერები. მათ გ. ს. ძოწენიძეს მიართვეს თაიგულები.

სიტყვა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატმა გ. ს. ძოწენიძემ. რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

გ. ს. ძოწენიძემ მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს დიდი ნდობისათვის და აღნიშნა, თუ რა წარმატებებს მიიღწევს საქართველოს მშრომელებმა, როგორ ემზადებიან ისინი რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის იუბილესათვის. მარტო 1970 წელს წარმოებული იქნება მეტი პროდუქცია, ვიდრე მთელი ომამდელი ხუთწლედების მანძილზე. უმაგალითოდ აყვავდა მეცნიერება და კულტურა. საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში ყოველ ათას მეცხოვრებზე უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რიცხვით. დღეს რესპუბლიკის 18 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 90 ათასზე მეტი ახალგაზრდა. რესპუბლიკის წარმატებათა მიღწევაში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

საქართველოს მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებანი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია, რომელიც საბჭოთა ხალხს გულდაჯერებით მიუძღვის წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

დეპუტატობის კანდიდატმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ამომრჩეველებს ნდობისათვის, უსურვა ბედნიერება, წარმატებანი შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ. (საქდესი).

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:**

1. დადგინდეს, რომ სრულწლოვან შრომისუნარიან მოქალაქეებს, რომლებსაც არა სურთ შეასრულონ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური მოვალეობა — იშრომონ პატიოსნად თავისი უნარის შესაბამისად, თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, იძულებით მოიყვანენ შინაგან საქმეთა ორგანოებში და ოფიციალურად გააფრთხილებენ, რომ დაუშვებელია პარაზიტული ცხოვრება და აუცილებელია შრომითი მოწყობა 15 დღის ვადაში.

2. იმ პირთ, რომელნიც თავს არიდებენ შრომითს მოწყობას და განაგრძობენ ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ამ ბრძანებულების პირველი მუხლის შესაბამისად ოფიციალური გაფრთხილების შემდეგ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაებმენ იმ საწარმოებში (მშენებლობებზე), რომლებიც განლაგებულია მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის რაიონში ან სხვაგან, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკის, რესპუბლიკის ფარგლებში.

3. იმ საწარმოთა (მშენებლობათა) ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სადაც იგზავნებიან ის პირნი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, ვალდებული არიან მოაწყონ ისინი სამუშაოზე, გასწიონ მათთან აღმზრდელობითი მუშაობა და მიიღონ ზომები საწარმოო კოლექტივებზე მათი დამაგრებისათვის.

ამ პირთა სამუშაოდან დათხოვნის ყველა შემთხვევის შესახებ საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაციამ ვალდებულია 3 დღის ვადაში აცნობოს იმ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება მათი შრომითი მოწყობის შესახებ.

4. იმ მოქალაქეთა გამოვლენას, რომელნიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, და ამასთან დაკავშირებულ ყველა გარემოებათა შემოწმებას აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოები როგორც მათ განაგრძნობენ საწარმოებში, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივითა და მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე. შემოწმება უნდა დასრულდეს 10 დღის ვადაში.

თუ ეს პირნი ოფიციალური გაფრთხილების შემდეგაც ამ ბრძანებულების პირველი მუხლით დადგენილ ვადაში არ შეუდგებიან პატიოსან შრომას, შინაგან საქმეთა ორგანოები მასალებს მათ შესახებ წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. ეს მასალები განხილულ უნდა იქნას 10 დღის ვადაში იმ პირის თანდასწრებით, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

5. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილების შესრულებას იმ პირთა სამუშაოზე გაგზავნის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, კონტროლს უწევენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

6. თუ პირი, რომელიც ეწევა ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, ეკრძალებოდა [illegible] პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის თაობაზე შრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას, საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაცია ვალდებულია ამის შესახებ 5 დღის ვადაში აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოს ამ პირის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234[1] მუხლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულება „იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1966 წ. № 11, მუხ. 185).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1970 წლის 14 მაისი

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:**

**შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:**

1. სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 234. სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა.

სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

2. დადამატოს სისხლის სამართლის კოდექსს მუხლი 234[1] შემდეგი შინაარსისა:

მუხლი 234[1]. პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება.

პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო მაწანწალობის ან მათხოვრობისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე“.

2. დადამატოს სისხლის სამართლის კოდექსს მუხლი 234[1] შემდეგი შინაარსისა:

მუხლი 234[1]. პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება.

პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება იმ პირის მიერ, რომელიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო ამავე მუხლის პირველი ნაწილით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1970 წლის 14 მაისი

# შრომა — კონსტიტუციური მოვალეობა

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება — „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“, მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქალაქის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის.**

**უმუშევრობა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში დაუსაქმებელ პირთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო მატულობს კაპიტალისტურ სამყაროში. დრომოჭმული, გადაშენების გზაზე დამდგარ კაპიტალისტურ სამყაროს არა მარტო არ ძალუძს უზრუნველყოს საზოგადოების ყველა წევრის სხვადასხვა სფეროში დასაქმება, არამედ თავისი ბუნებითად და მიზანდასახულობით საზოგადოების განვითარების ეს ფორმაცია თვითონ ქმნის უმუშევრობისათვის ობიექტურად არსებულ პირობებს.**

**თავისთავად ცხადია, რომ უმუშევრობა, ცალკეულ პირთა მიერ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება დამახასიათებელი არ არის ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობისათვის; სოციალისტურ საზოგადოებას საკმარისი შესაძლებლობა აქვს საზოგადოების თითოეული წევრის შრომაში ჩასაბმელად. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ყველა სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქის კონსტიტუციური მოვალეობაა. ბრძანებულება კი იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას ეხება, რომლებიც თავს არიდებენ საბჭოთა კონსტიტუციით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას.**

**ბრძანებულების შესაბამისად სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქენი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, იძულებით იქნებიან მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოებში, მათ გაფრთხილებენ, რომ უნდა შეუდგეს ცხოვრება და 15 დღის ვადაში ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ის პირი, რომელიც შინაგან საქმეთა ორგანოებში გაფრთხილების შემდეგ კვლავ განაგრძობს პარაზიტულ ცხოვრებას, ბრძანებულების მეორე მუხლის თანახმად, ჩაბმული იქნება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.**

**ბრძანებულების პირველი და მეორე მუხლები ითვალისწინებენ მოქალაქის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმას, მაგრამ პირველ შემთხვევაში მას შესაძლებლობა ეძლევა თვითონ აირჩიოს და გამონახოს სათანადო სამუშაო, ხოლო მეორე შემთხვევაში აღმასკომის გადაწყვეტილებით იგი იგზავნება სამუშაოდ წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე.**

**ბრძანებულება, რეალურად უზრუნველყოფს რა ასეთ პირთა სამუშაოზე მოწყობის შესაძლებლობას, ავალდებულებს საწარმოთა, მშენებლობათა ადმინისტრაციას დაუბრკოლებლივ მიიღონ ეს პირნი სამუშაოზე და აწარმოონ მათ შორის სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა. ადმინისტრაცია ვალდებულია 3 დღის ვადაში აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს ამ პირთა სამუშაოდან დათხოვნა.**

**ბრძანებულების მოთხოვნათა შესაბამისად ანტისაზოგადოებრივ ელემენტთა გამოვლენისათვის დიდი მუშაობა უნდა გასწიონ შინაგან საქმეთა ორგანოებმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დახმარებითა და ხელშეწყობით.**

**ის პირი, რომელიც ეწევა ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას, ბორტოდან არიდებს თავს შრომითი მოწყობისა და პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტასთან დაკავშირებით აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას, მიცემული იქნება სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 234[1] მუხლით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე ან ამავე ვადით გამასწორებელ სამუშაოებს. ხოლო თუ პირი, რომელიც წინათ გასამართლებული იყო ამავე მუხლის პირველი ნაწილით, ჩაიდენს იგივე ქმედობას, მას აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილით შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე.**

**ბრძანებულების საფუძველზე გაძლიერდა რა პასუხისმგებლობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას, სათანადო ცვლილებანი იქნა შეტანილი საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.**

**ბრძანებულების გამოცემამდე, რომელიც ძალაში შედის გამოქვეყნებიდან ათი დღის შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ იმ პირებს, რომლებიც ბორტოდან თავს არიდებდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, რასაც თან ახლდა მაწანწალობა ან მათხოვრობა. ამასთან, ასევე პირთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში აძლევდნენ განმეორებით გაფრთხილების შემდეგ. 234-ე მუხლი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ან გასახლებას ვადით ხუთ წლამდე.**

**სასამართლო და საგამომძიებლო პრაქტიკამ წლების განმავლობაში დაგვანახვა, რომ პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის საკმარისი არ იყო მარტოოდენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის ბორტოდან არიდება. აღნიშნული მუხლის შესაბამისად მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგინდებოდა, რომ შრომისუნარიანი პირი ბორტოდან არიდებდა თავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მაწანწალობდა ან მათხოვრობდა. უფრო მეტიც, ასეთი პირის პასუხისგებაში მისაცემად საჭირო იყო წინასწარ სათანადო ხელწერილის ჩამორთმევვით მისი გაფრთხილება, ხოლო განმეორებით გაფრთხილების შემდეგ (ე. ი. მესამეჯერ სათანადო ორგანოებში წარდგენის შედეგად) შეიძლებოდა პირის 234 მუხლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.**

**აღნიშნული გარემოება, რა თქმა უნდა, ერთგვარად ასუსტებდა ბრძოლას ანტისაზოგადოებრივ ელემენტთა წინააღმდეგ.**

**საკასაციო მართებულია, რომ ბრძანებულების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში შეტანილია ცვლილება იმ თვალსაზრისით, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირებს, რომლებიც ბორტოდან თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, რასაც თან ახლდა მაწანწალობა ან მათხოვრობა. ამასთან, ასევე პირთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში აძლევენ განმეორებით გაფრთხილების შემდეგ. 234-ე მუხლი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ან გასახლებას ვადით ხუთ წლამდე.**

**ბრძანებულების შესაბამისად არსებითი ცვლილება შეტანილია სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში, — და მას დაემატა ახალი 234[1] მუხლი, რომლითაც დამოკიდებული დანაშაულის სახით იქნა გამოკვეთილი შრომაში ჩაბმისა და პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ან ამავე ვადით ეკრძალებოდეს ამა თუ იმ ადგილზე ცხოვრება.**

**ბრძანებულებაში ჩვენს რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის უაღრესად დადებით შედეგს მოიტანს, თუ ადმინისტრაციულ ორგანოებს მხარში ამოუდგებიან ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თავიანთ წვლილს შეიტანენ მოხეტიალეს, ჩაუწერაგად მცხოვრებ, მათხოვრობას მიჩვეულ და, რაც მთავარია, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში დაუსაქმებელ პირთა გამოვლინების საქმეში.**

**უსაქმურობა, მუქთახორობა, მაწანწალობა, მათხოვრობა და უმიზნო ცხოვრება დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა.**

**მუქთახორა, სხვის ხარჯზე ცხოვრებას მიჩვეული პირებს დასაყრდენი არ უნდა ჰქონდეთ კომუნისტურ საზოგადოებაში!**

**ა. ტაკიძე,**
საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიაში

**ერთ** თვეზე ნაკლები დარჩა იმ დღემდე, როცა გაიმართება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს — სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები, ორგანოსი, რომელიც გამოხატავს მთელი საბჭოთა საზოგადოების ნებასა და ინტერესებს.

არჩევნებისათვის მზადებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, რომლებსაც ეკისრებათ მოვალეობა განუხრელად შეასრულონ საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნები, ორგანიზებულად მოაწყონ მუშაობა თავიანთი ოლქებისა და უბნების ტერიტორიაზე.

აი რატომ არის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის სხდომაზე, რომელიც 20 მაისს გაიმართა, ძირითადი ყურადღება დაეთმო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების ინструქტირებს. ბათუმის № 170 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის ნ. ა. გუგუნავას გამოსვლაში ნაზგასმით აღინიშნა, რომ ამ ოლქის ყველა საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ამომრჩეველთა სიები. მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ყოველ დროს შეიარონ უბანში, შეამოწმონ სიები, მიიღონ აქ ყველაზე კვალიფიციური კონსულტაცია ყველა საკითხზე, რომლებიც ეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

საარჩევნო კომისია მუშაობს გეგმის თანახმად, თვალყურს ადევნებს იმას, რომ ყველა საარჩევნო უბანში იყვნენ მორიგეები, რომ პოლიტინფორმატორებმა რაც შეიძლება ხშირად მოაწყონ საუბრები მოსახლეობასთან საცხოვრებელ ადგილას, გააცნონ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვები.

თელავის № 187 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ხ. ბაკურიძემ თავის ინფორმაციაში განაცხადა, რომ კომისიის სხდომებზე განიხილეს სხვადასხვა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია არჩევნებისათვის მზადებასთან, მათ შორის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის დროს ამომრჩეველთა კულტურული მომსახურების შესახებ. თელავის საარჩევნო ოლქის ყველა უბანი განლაგებულია შესაბამის შენობებში, ყველას აქვს სატელეფონო და რადიოკავშირი, უკვე შედგენილი და გამოკრულია სიები. ახლა მიმდინარეობს ძირითადი მუშაობა მოსახლეობაში აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა ძალებით.

ქუთაისის № 178 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ი. გ. ნაზარაძემ აცნობა რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრებს, რომ მოსმენილია რამდენიმე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების, კავშირგაბმულობის საწარმოთა ხელმძღვანელების ინფორმაციები არჩევნებისათვის მზადყოფნის შესახებ. ი. გ. ნაზარაძემ აღნიშნა, რომ კომისიის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება ზუსტად შეესაბამება მუშაობის გეგმას და ეჭვს არ იწვევს, რომ ოლქში არჩევნები, როგორც ყოველთვის, ორგანიზებულად ჩაივლის.

ახალციხის № 169 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შ. ო. გრძელიშვილმა თქვა, რომ ახლა დადგენილია 3.400 ვაგიტატორი, პოლიტინფორმატორი და პროპაგანდისტი განუმარტავს მოსახლეობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას, აცნობს საბჭოთა საარჩევნო სისტემას, ეწევა ფართო განმარტებითი მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვების გამო. კომისიას მუშაობაში დიდ დახმარებას უწევენ პარტიული ორგანიზაციები, ყველა საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილია საჭირო დოკუმენტაციით, კავშირგაბმულობის საშუალებებითა და თვალსაჩინო აგიტაციით.

ბევრი საინტერესო რამ აღნიშნეს თავიანთ ინფორმაციებში ზესტაფონის № 37/5 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გ. კ. ჩითანავამ და ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის № 6/28 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ა. ფ. შავიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ იმ სარარმოებსა და საცხოვრებელ სახლებში, რომლებიც უბნების ტერიტორიაზეა განლაგებული, პოლიტინფორმატორები და აგიტატორები, რომლებმაც დაწვრილებით შეისწავლეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვები, მუდამ მართავენ ლექციებ-საუბრებს, მოსახლეობას განუმარტავენ მიმართვების ორმა შინაარსს.

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრებმა თ. ი. სალარაძემ, ს. ხ. შათაშვილმა და ი. მ. დრაჩოვმა ილაპარაკეს მათ მიერ ბათუმში, ქუთაისსა და ახალციხეში მოწყობილი შემოწმების შედეგებზე.

ამომრჩეველთა კულტურული მომსახურების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთეს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. ვ. თაქთაქიშვილმა და საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ნ. შ. ვასაძემ.

ამბ. ო. ვ. თაქთაქიშვილმა თქვა, რომ კულტურის სამინისტროს საარჩევნო კამპანიისათვის მზადება დაიწყო ორი ასპექტით — სამუშაოში ამამდა როგორც პროფესიულ, ისე თვითმოქმედ კოლექტივებს. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ შექმნა ხუთი ბრიგადა, რომლებიც უკვე გამოდიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. საქართველოს ყველა თეატრმა გამოჰყო სპეციალური ჯგუფები, რომლებშიც შეეიდნენ წამყვანი მსახიობები. მათ მიმაგრებული აქვთ გარკვეული უბნები. ახლა კულტურის სამინისტროს წინაშე დგას ამოცანა, რაც შეიძლება უკეთ მოემზადოს 14 ივნისისათვის, რათა ამომრჩეველთა ყველა კლუბსა და საარჩევნო უბანში ამ დღეს მოეწყოს კონცერტები ამომრჩეველებისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ნ. შ. ვასაძემ აღნიშნა, რომ პროფსაბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება საარჩევნო კამპანიაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ. ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება კარგად მოემზადა ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენისათვის. ჩვენ გვაქვს წინასაარჩევნო კამპანიების მოწყობისა და მომსახურების დიდი გამოცდილება, რადგან ყველა პროფკავშირულ, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განლაგებული საარჩევნო უბნები, ამომრჩეველთა კლუბები, მუდმივადმოქმედი აგიტპუნქტები. მაგრამ ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საარჩევნო უბნებს შორეულ და შიშალი მთის რაიონებში. არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. მაგრამ ეს საუსებით უნდა გვეყოს ზოგიერთი უმნიშვნელო ნაკლოვანების გამოსასწორებლად.

განხილულ საკითხებზე მიიღებულია შესაბამისი დადგენილება.

(საქდესი).

# ავსტრიელი სტუმრები აფხაზეთში

სოხუმი, 20 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს აქ ჩამოვიდნენ ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაური დოქტორი ბ. გლაისნერი მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირნი.

აეროდრომზე სტუმრებს დასხვდნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. ბ. 

# ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲖᲔ

**ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ** პრესა ფართოდ გამოეხმაურა გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიას „ცრურეფოლუციონერები უნიღბოდ“. სხვადასხვა ქვეყნის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ სტატიის დაწვრილებითს შინაარსს და კომენტარებს.

**ᲒᲐᲠᲨᲐᲕᲐ.** პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“ წერს, რომ კომუნისტებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და პროგრესის ინტერესები, დიდად აშფოთებს ჩინეთის ხელმძღვანელობის მოქმედება საერთაშორისო ასპარეზზე, ჩინეთის რევოლუციის ბედი.

„პრავდა“ ხაზს უსვამს, აღნიშნავენ პოლონური გაზეთები, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც პრინციპულ პოზიციებს ადგენენ და იცავენ თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ინტერესებსა და მისი საზღვრების შეუვალობას, კეკლავაც ყველაფერს აღლენებენ, რათა მოაგვაროონ სახელმწიფოებრივი ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

**ᲞᲠᲐᲒᲐ.** გაზეთი „პრავდა“ მაოიზმის შესახებ“. „ჩინელ ლიდერთა ავანტიურისტული პოლიტიკა“, „ჩინეთის ანტილენინური კურსი“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ ჩეხოსლოვაკიის გაზეთები სტატიის „ცრურეფოლუციონერები უნიღბოდ“ შინაარსს.

„რუდე პრავო“ აღნიშნავს, რომ სტატიაში გაანალიზებულია მაოიზმის განვითარება. „ერთსოდეს არც ერთ მოღალატეს, პროლეტარიატის კლასობრივი მტრებისა არც ერთ დაქირავებულს არ მიუყენებია ისეთი ზიანი მსოფლიო რევოლუციური პროცესისათვის, როგორსაც ახლა აყენებენ პეკინელი ხელმძღვანელები“, — აცხადებს „რუდე პრავო“.

გაზეთი „ლიდოვა ფრონტა“ ხაზს უსვამს, რომ სტატიას დიდი მნიშვნელობა აქვს. „პრავდის“ სტატიაში, წერს გაზეთი, დაწვრილებითაა გაანალიზებული ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტი და ნაჩვენებია, რომ მაო და მისი ამალა, არსებითად, მხოლოდ უნარჩუნებენ კომუნისტურ პარტიას სახელწოდებას, სინამდვილეში კი ქმნიან სრულიად ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას.

**ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ.** დაწვრილებით აცნობებენ მკითხველებს სტატიის „ცრურეფოლუციონერები უნიღბოდ“ შინაარსს უნგრული გაზეთები „ნეფსაბადშაგი“, „მადიარ ჰირლაპი“ და პრესის სხვა ორგანოები.

„ნეფსავა“ ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის პოლიტიკას ანტილენინურს უწოდებს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მძიმე კრიზისს განიცდის“. — აღნიშნავს გაზეთი „მადიარ ნემეზეტი“.

(საკდესი, 19 მაისი).

# ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲯᲐᲡ

ბონი, 20 მაისი. (საკდესი) დასავლეთ გერმანიის ქალაქ მაინცში შეიქმნა „სამხედრო დამნაშავეთა დევნის კომიტეტი“, რომლის შემადგენლობაში შეიდნენ სხვადასხვა ასოციაციის, ორგანიზაციის, ადრეთვე გერმანელთა კომუნისტური პარტიის აღგილმონრიგი ორგანიზაციის წარმომადგენლები. კომიტეტის ერთ-ერთი ამოცანაა დასავლეთ გერმანიის არმიის გენერალ-ლეიტენანტის მოლინარის დანაშაულებრივი წარსულის მხილება, რომელიც ახლა ბუნდესვერის 4 — ოლქს სარდლობს.

[illegible] ბონი [illegible] ოცდაერთი [illegible] ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ [illegible] ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ [illegible] ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ [illegible] ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲐ [illegible] ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ [illegible] ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘ [illegible] ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ

# საქართველოს ეთა-ჯაგში

## სლოვაკეთი ამბროლაურში

ამბროლაური. (საკ. კორ.). სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება ბრატისლავა-რაჩის და ამბროლაურის რაიონის მშრომელთა შეგობრობა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ისინი რეგულარულად ცვლიან დელეგაციებს, ერთმანეთს აცნობენ საზოგადოებრივ შრომაში მოპოვებულ წარმატებებს.

ამ დღეებში ამბროლაურის რაიონს კვლავ ეწვივნენ სტუმრები ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკიდან. დელეგაციაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბრატისლავა-რაჩის სახალხო კრების თავმჯდომარე ვანდელინო ვესელსკი, იყვნენ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სლოვაკიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვლადისლავ სპევარი, ბრატისლავის პარფიუმერიის ფაბრიკის დირექტორი კარლო ვაცულა, ავრეთვე რაჩის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მექანიზატორები და მინდვრის მუშაკები.

ამბროლაურელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ძვირფას სტუმრებს. სლოვაკელი შეგობრები დიდი ინტერესით გაეცნენ ნიკორწმინდის ისტორიულ მონასტერს, დაათვალიერეს ხვანჭკარის ღვინის ქარხანა, რაიონის ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი და სასოფლო-სამეურნეო არტელის ზვრები.

სტუმრებს თავის ოჯახში გულუხვად გაუმასპინძლდა ჭყვიშელი კოლმეურნე დ. დავითულიანი.

ამბროლაურიდან სლოვაკი სტუმრები შავი ზღვის სანაპიროზე გაემგზავრნენ.

## ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ კვების მრეწველობის ტექნიკუმში ნაყოფიერად მუშაობენ ტექნიკოსთა წრეები, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა სპეციალობის 24 მოსწავლე.

მარშან ლენინური კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით წრის წევრებმა დაამზადეს ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ მოქმედი მოდელი, რომელიც გაიგზავნა მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და კარგი შეფასება დაიმსახურა. წრის წევრები დაჯილდოვდნენ მედლებით და ფულადი პრემიით. ტექნიკუმს გადაეცა საპატიო დიპლომი და გამოფენის მონაწილის მოწმობა.

წელს ტექნიკოსთა წრეებმა გამოფენაზე გაგზავნეს ორი ექსპონატი—ელექტროფიცირებული სტენდი „ქართული ჩაის ნიმუშები“ და „მწვანე ჩაის წარმოებაში გრეხის პროცესების მექანიზებული უწყვეტი ნაკადური ხაზი“. ეს უკანასკნელი მოდელი დიდ სიახლეს ნერგავს წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებაში.

ბ. ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐ.

## ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲔᲑᲘ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐᲖᲔ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. განათლების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით მოეწყო ექსკურსია ქალაქ ბათუმში. პედაგოგებმა დათვალიერეს მუზეუმები, აკვარიუმი, მწვანე კონცხი, ციხისძირი.

სოფელ გრიგოლიმის საშუალო სკოლის დირექციამ, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, მოაწყო ექსკურსია ქალაქ ქუთაისში. ექსკურსანტებმა ინტერესით დათვალიერეს საავტომობილო ქარხანა, იყვნენ გელათში, ნახეს ბაგრატის ტაძარი, სათაფლია.

Ბ. ᲐᲑᲐᲜᲫᲔ.

## ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ კვების მრეწველობის ტექნიკუმში ნაყოფიერად მუშაობენ ტექნიკოსთა წრეები, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა სპეციალობის 24 მოსწავლე.

მარშან ლენინური კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით წრის წევრებმა დაამზადეს ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ მოქმედი მოდელი, რომელიც გაიგზავნა მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და კარგი შეფასება დაიმსახურა. წრის წევრები დაჯილდოვდნენ მედლებით და ფულადი პრემიით. ტექნიკუმს გადაეცა საპატიო დიპლომი და გამოფენის მონაწილის მოწმობა.

წელს ტექნიკოსთა წრეებმა გამოფენაზე გაგზავნეს ორი ექსპონატი—ელექტროფიცირებული სტენდი „ქართული ჩაის ნიმუშები“ და „მწვანე ჩაის წარმოებაში გრეხის პროცესების მექანიზებული უწყვეტი ნაკადური ხაზი“. ეს უკანასკნელი მოდელი დიდ სიახლეს ნერგავს წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებაში.

Ბ. ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐ.

## ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲘ „ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲘ“

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲜᲒᲣᲚᲝᲒᲘᲡ ზუგდიდის რაიონული კვანძის დაზღვეულ გზავნილებთა განყოფილების უფროსმა ანზორ ვლადიმერის-ძე ტაბაღუამ ამას წინათ ქ. ზუგდიდის მეორე თანრიგის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს ფულისა და ნივთების 1970 წლის მეოთხე გამოშვების ლატარიის 11578 სერიის № 019 ბილეთი, რომელსაც მოკვნიან ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

Ა. ᲑᲔᲓᲘᲐ.

## ᲛᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲕᲝᲙᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სახლის თეატრალურ დარბაზში შედგა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, პედაგოგ ალექსანდრა ჯანელიძის ნორჩ ვოკალისტთა ჯგუფის შემაჯამებელი კონცერტი. ვოკალისტთა ჯგუფმა პირველ ნომრად შეასრულა ტულიკოვის „სიმღერა ლენინზე“. შემდეგ ყველაზე მატარებმა — ხუთი წლის ვოკალისტებმა იმღერეს ხალხური „ციფა-ციფა“ (სოლისტი თ. გოზალიშვილი), ლ. იაშვილის „კრიჭი-კრიჭი“ (სოლისტები რ. ჯაბუნია, ზ. ალადაშვილი, კ. ლორია, კ. წივილაშვილი) და ლ. რობიტაშვილის „შხაპა-შუპი“ (სოლისტი ლ. ციერკიძე).

მოწონება ხვდა მოსწავლეების თ. ციგარეიშვილის, ფ. შალვაშვილისა და ნ. ხუციშვილის მიერ შესრულებულ კომპოზიტორ გამლელას სიმღერას „მაყარ ჯაპრალს“. კარგი იყო ვაჟთა ანსამბლის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები „სისატურა“, „ჭალაუ“, და „ტიალო დარიალაო“. წარმატებით იმოერა მოსწავლე ჭ. ბეჟიტაშვილმა ბ. მაჭავარიანის „არ ოიდარდო დედაო“ და ჭრიჭინას სიმღერა კინოფილმიდან „ჭრიჭინაია“. ასევე იოჭნის მ. თვალაძეზე, რომელმაც შეასრულა ბ. ციბაძის „ჯარისკაცის დედა“ და ო. ფელცმანის „ბარსელონა“.

კონცერტის დასასრულს ნორჩ ვოკალისტთა ჯგუფმა ჩინებულად იმღერა „ანბანჯა საქართველოზე“ (სოლისტები ქ. ბეჟიტაშვილი და ლ. არველაძე, კონცერტმაისტერი ნ. ჯანელიძე).

ნორჩ ვოკალისტთა ჯგუფის შემაჯამებელ კონცერტს დამსწრეთა მოწონება ხვდა.

ლ. ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ.

ᲨᲢᲐᲑᲠᲘᲡ მარჯვენა ნაპირას, ორთაჭალის რაიონში, დაიწყო კოშკის ტიპის 16-სართულიანი ბეტონის ნაგებობის მშენებლობა. იგი მოპირკეთებული იქნება თლილი გრანიტით, ალუმინითა და მინით. აქ განლაგდება „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანების ცენტრალური აპარატი და „სოფლშრეწვმშენის“ საკავშირო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თბილისის განყოფილების სამრეწველო სამსახური.

კოშკი-ეყრდნობა რკინაბეტონის ფილას, რომლის ქვეშაც განლაგებულია მიწისქვეშა ვესტიბიული, 250 ადგილისათვის გათვალისწინებული კონფერენც-დარბაზი, სასადილო, პირველი და ცოკოლის სართულები განკუთვნილია საერთო სარგებლობის სათავსებისათვის. მეორე-მეხუთე სართულებზე განლაგდება „საქსოფლტექნიკის“ თანამშრომელთა კაბინეტები. მეექვსე სართული მყოფს და, ამავე დროს, აკავშირებს ორივე დაწესებულებას. აქ „მეზობლების“ ერთობლივ სარგებლობაში იქნება ტექნიკური საბჭოს დარბაზი, წითელი კუთხე, ბიბლიოთეკა, ბუფეტი, ჰოლი, მოედანი აქტიური დასვენებისათვის. დანარჩენ სართულებზე მოთავსდება ინსტიტუტის ყველა სამეურნეო-საწარმოო და ადმინისტრაციული განყოფილებები.

პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები შ. ყავლაშვილი და ა. მიქიაშვილი, კონსტრუქტორები ჯ. თხილავა და თ. ყაციელაშვილი. მშენებლობას აწარმოებს „მაღლივმშენის“ სამმართველო.

სურათზე: ასეთი იქნება ახალი მაღლივი შენობა თბილისის კიროვის რაიონში.

(საქᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

● ᲒᲝᲠᲘ. ქალაქის სამეურნეო აქტივისათვის მოეწყო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია თემაზე „შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები“.

სამეურნეო აქტივმა დიდი ინტერესით მოისმინა მეცნიერი მუშაკების მ. გედევნიძის, ს. ჩოჩიშვილის, დ. მოურავიძის, ნ. ჭანკოტაძის, გ. ლოგუას მოხსენებები.

Რ. ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

● ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ. მრავალი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა ქალაქ მარნეულის კეთილმოწყობისათვის. გაკეთდა მოედანი, მდინარე ალგეთზე გაიყვანეს კაპიტალური ხიდი, რკინიგზის სადგურთან გაშენდა სკვერი.

ახლახან გაიხსნა ახალი საკოლმეურნეო ბაზარი, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალი კაპიტალური შენობა.

Გ. ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲦᲐᲕᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ

## ᲑᲘᲙᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲡᲣᲚ უკანასკნელ ხანამდე უნივერსიტეტის ეზოსა და მის ტალანებში ხშირად შეხვდებოდით დაბალი, ჩასკვნილი აღნაგობის მკვირცხლ, მხიარულ მოხუცს, რომელსაც სტუდენტები სიყვარულით ეხვეოდნენ გარს, ეკითხებოდნენ, უსმენდნენ. ენაწყლიანი მასწავლებელიც პასუხსა და მოსწრებულ სიტყვას არ იშურებდა მათთვის.

ეს ჭარმაგი კაცი თბილისელთათვის ძველისძველი ნაცნობი, წარმოშობით ფრანგი არნოლდ ბიპერი იყო ბურგუნდიაში დაბადებული, ამ საუკუნის დასაწყისში თბილისს დასახლებული.

არნოლდ ბიპერი ბებუთოვის მამულში მიუწვევიათ აგრონომად, შემდეგ კლასიკურ გიმნაზიაში — ფრანგულის მასწავლებლად. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის რუდოლფის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის ბიპერი ვლადიკავკაზს გადაუსახლებიათ. მარტო დარჩენილი ოჯახი შვეიცარიაში გამგზავრებულა, სადაც 1910 წელს დაიბადა ანრი ბიპერი. მომდევნო წელს ბიპერთა ოჯახი კვლავ ვლადიკავკაზში შეერთდა, სადაც არნოლდს მხოლოდ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრების უფლება ჰქონდა.

ანრი ბიპერმა აქ მიიღო პირველდაწყებითი განათლება, საშუალო სკოლის კურსი კი თბილისში დაამთავრა, სადაც ოჯახი 1924 წელს გადმოსახლდა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, აგერ თითქმის ორმოცი წელიწადია იგი წარმატებით ემსახურება საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მსმენელებს როგორც ფრანგული ენის ერთ-ერთი შესანიშნავი პედაგოგი. იგი უცხო ენათა პედინსტიტუტის ბურჯთაგანია. თავიდანვე ამ ინსტიტუტში დაიწყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. ათასობით კურსდამთავრებული მადლობით იხსენიებს მის სახელს, მრავალ სწავლამოწყურებულს აღზრდის იგი ისეთივე გატაცებითა და თავდადებით, როგორც აქამდე აღუზრდია.

ამ ინსტიტუტში ბევრი მასწავლებელია, რომლებიც ერთ დროს მისი სტუდენტები იყვნენ. ახლაც უკვე ომაშვილცხლილ ლექტორებს თუ საკონსულტაციოდ რაიმე საკითხი წამოეჭრათ ანრი მათ ჩვეული გატაცებითა და ერთგულებით ეხმარება.

საქმის დიდი მცოდნე, ღრმად ერუდირებული, საოცარი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი, რომლის ლექცია ყოველთვის ბევრ მსმენელს იზიდავს, — ასეთად გვახსოვს იგი ჩვენ, მის ყოფილ მოწაფეებს, რომლებიც მადლიერების გრძნობით ვიხსენდით ყოველ ლექციას, საუბარს. მას ხომ ყველა მოვლენისათვის შეეხაზეოლი რაიმე ამბავი აქვს მოსათხრობი, საოცარი მეხსიერების პატრონს. ეს მის ნიჭიერებასა და ფართო ჰორიზონტზე მეტყველებს. ასეთი იყო მისი მამა — ᲩᲔᲜᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ საუკეთესო ლექტორთაგანი; ასეთივე საინტერესო პედაგოგია ანრის და ელენე ბიპერი — ფრანგული ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი უნივერსიტეტში, ასეთსავე იმედს იძლევა ანრის ქალიშვილი, ოღონდ ახლა უფრო სხვა ამპლუაში — ინგლისურის მასწავლებელი უცხო ენათა ინსტიტუტში.

ჩვენი ინსტიტუტის გარიჟრაჟზე, როცა ის-ის იყო საფუძველი ეყრებოდა ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობასა და პედაგოგიკას მაშინ, ალბათ, არ გვქონდა უკვე დადგენილი ერთიანი მეთოდი, არ იყო პედაგოგთა ასეთი ფართო, სრულყოფილი ფრონტი. ანრი ბიპერისა და სხვა პედაგოგთა დამსახურება ისიც არის, რომ მათ შექმნეს თავისი, ჩვენი ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი სწავლებისა და მეცნიერული მუშაობის თავისებური სახე, თავისი ხელწერა.

უცხო ენათა პედაგოგიურმა ინსტიტუტმა აღნიშნა ანრი ბიპერის დაბადების 60 წლისა და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავი. გვწამს, რომ ჩინ კიდევ დიდი ჯაა — ამის საწინდარია მარად ხალისიანი, გულითადი, ენერგიული და ყოველთვის მცინარი ანრი ბიპერი, რომელსაც გულითადად ვუოცავთ ცხოვრების სამოცწლეულს.

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲯᲔᲚᲔᲜᲘ.

უცხო ენათა პედინსტიტუტის ფრანგული ენის კათედრის დოცენტი.

სურათზე: ანრი ᲑᲘᲞᲔᲠᲘ.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის მრავალ რაიონში დაიწყო სურნელოვანი მოსავლის — კაზანლიკის ვარდის კრეფა. საქართველოს მცენარეული ცხიმებისა და ეთერ-ზეთების ტრესტის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობების მუშები 400 ჰექტარიდან მიიღებენ თითქმის 6 ათას ცენტნერ ყვავილის ნედლეულს.

კარგად მოემზადნენ გადამუშავების სეზონისათვის ტრესტის საწარმოები. ბევრ ქარხანაში დაბალი წარმადობის აპარატები შეიცვალა უწყვეტი მოქმედების დანადგარებით.

რამდენიმე ასეული კილოგრამი ვარდის ძვირფასი ეთეროვანი ზეთი გაეგზავნება ჩვენი ქვეყნის საპარფიუმერიო-კოსმეტიკური მრეწველობის საწარმოებს.

სურათზე: სურნელოვანი მოსავლის აღება თელავის ეთერ-ზეთების ქარხანა-საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში. წინ პლანზეა მკრეფავი მარინე კაპანაძე.

ფოტო ს. ᲗᲝᲤᲖᲐᲫᲘᲡᲐ,
(საქᲓᲔᲡᲘᲡ ფოტოქრონიკა).

## ᲐᲗ ᲬᲣᲗᲨᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲝᲚᲘ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ“ (ტაშკენტი) 4:0 (3:0). თბილისი. 20 მაისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — ბ. სოლოვიოვი (მოსკოვი).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — სტეფანია, კანთელაძე, რეხვიაშვილი (ქითაური), ჭელიძე (ქორაძე), ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, მაჩაიძე, ბურჯანაძე, გავაშელი, ლ. ნოდია.

„ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ“ — ლიუბარცევი, დოცენკო, შტერნი, ტურსუნოვი, პეტუშოვი, ინოიატოვი (იაკუბოვი), ვარიუხინი, იუნუსოვი, მელკუმოვი (ლობოდა), ციბინი, იბრაგიმოვი.

ᲠᲔᲤᲔᲠᲘᲡᲚᲘᲗ „შესვენებამ“ ჩემპიონატზე შეემნელვლად განვლო. იძულებითი „არადაეგები“ გამოწვეული იყო თასის მეთაქეს მეტადფინალური შეხვედრებით. ამ ხნის განმავლობაში მეგობრეთა „საშინაო“ საქმეებში არსებითი სიახლეები არ ყოფილა — ერთნი კვლავ პრივილეგირებულად დარჩნენ, მეორენი კი თითქმის განაცვრებულნი. ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფთა რიგებს უნდა მივაკუთვნოთ თბილისის „დინამო“, რომლის „მესანაშენავი ხუთეული“ ამჟამად მეხიკოში იმყოფება.

სასიხარულოა რომ „დინამოს“ ახალგაზრდულ შემადგენლობას თავისი თაყვანისმცემლები არ გაუწბილებია — 3 მაჩიდან 5 ქულა, ცოდი შედეგი როდია.

გუშინდელი მატჩის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმშეიე გადაწყდა. შავი მე-13 წუთისათვის დინამოელები წინ იყვნენ 3:0. ეს გოლები გატანილ იქნა 10 წუთში. ბნეარიში მე-4 წუთზე თავური დარტყმით გავაშელმა გახსნა მარცხენა ფრთიდან ნოდიას კარგი ჩაწოდების შემდეგ. ერთი წუთი არც კი იყო გასული, რომ ილიადმ მეორეჯერ შეარხია „პახტაკორის“ კარის ბადე, ხოლო კიდევ 8 წუთის შემდეგ თბილისელთა კაპიტანმა პეტრიაშვილმა რთული პოზიციიდან ჩინებულად ჩაუწოდა კარის გასწვრივ და ბურჯანაძემ მესამედ აიღო სტუმართა კარი.

დინამოელთა ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა აშკარა იყო, ტაშკენტელები არც თუ იშვიათად მიმართავდნენ დაუშვებელ ხერხებს, უხეშობას, რასაც არასასურველი შედეგი მოჰყვა. პირველი ტაიმში ტრავმის გამო მოედანი დატოვეს რეხვიაშვილმა და ჭელიძემ, რამაც დაცვაში ძალთა გადაჯგუფება გამოიწვია და ცოტა სიძნელენი როლი შეიქმნა.

მეორე ნახევრის დასაწყისში „დინამოს“ დაცვის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა — ხინჩიგაშვილმა მიიღო ტრავმა. მართალია, მას მოედანი არ დუტოვებია, მაგრამ ძალზე უჭირდა თამაში. ასეთ ვითარებაში ტაშკენტელ ფორვარდებს კონტრამაშის მეტი შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ შესანიშნავად თამაშობა მეკარე სტეფანიამ. მატჩს საბოლოო წერტილი ილიადიმ დაუსვა. მან 82-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით დაახლოებით 24-25 მეტრიდან მეოთხე ბურთი კაიტანა.

რა თქმა უნდა, გამარჯვება 4:0 სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ ამდენი ტრავმა მეტად სამწუხაროა, მით უმეტეს, რომ დინამოელებს უახლოეს დღეებში მოელით საერთაშორისო შეხვედრა ბრაზილიელებთან, შემდეგ კი თასის მეოთხეფინალური მატჩები.

დუბლიორთა შეხვედრაშიც წარმატება დინამოელებს ხვდათ 3:1.

Ვ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ.

## ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები ფეხბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ჯგუფის წარმომადგენელი — არმიის (ვენტრალური სასპორტო კლუბის) გუნდი ერევნის „არარატს“ მასპინძლობდა. მატჩის შედეგია 2:1 ერევნელთა სასარგებლოდ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ექსჩემპიონი კიევის „დინამო“ ვოროშილოვგრადს ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „ზარიასთან“. წარმატება კიეველებს ხვდათ 2:1.

ᲛᲐᲢᲩᲘ ოდესაში დონეცკის „შახტიორისა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1:1.

## ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ — ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲘ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ!

ᲐᲡᲔᲗᲘ სენსაციური ინტერვიუ მისცა ბრაზილიელ ჟურნალისტებს რუმინეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ა. ნიკულესკუმ.

მსოფლიოს პირველობის მესამე შესარჩევ ჯგუფში, სადაც ბრაზილიის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ნაკრებები გამოდიან, მთავარ ფავორიტად წეხოსლოვაკიელები უნდა მივიჩნიოთ.

## ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ
ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 21 ᲛᲐᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბ.) | 10 | 6 | 3 | 1 | 18-6 | 15 |
| „დინამო“ (კ.) | 9 | 6 | 2 | 1 | 10-5 | 14 |
| „დინამო“ (მ.) | 8 | 5 | 2 | 1 | 13-1 | 12 |
| ცსკა | 9 | 5 | 2 | 2 | 16-4 | 12 |
| „ნეფტჩი“ (ბ.) | 9 | 3 | 6 | 0 | 9-3 | 12 |
| სკა (როსტ.) | 8 | 4 | 3 | 1 | 8-4 | 11 |
| „არარატი“ (ერ.) | 9 | 4 | 2 | 3 | 7-6 | 10 |
| „სპარტაკი“ (მ.) | 9 | 2 | 5 | 2 | 12-11 | 9 |
| „ტორპედო“ (მ.) | 9 | 3 | 3 | 3 | 9-10 | 9 |
| „ზარია“ (ვ.) | 10 | 3 | 3 | 4 | 6-12 | 9 |
| „ტორპედო“ (ქ.) | 9 | 2 | 4 | 3 | 5-7 | 8 |
| „ჩერნომორ.“ (ო.) | 10 | 2 | 3 | 5 | 6-9 | 7 |
| „ზენიტი“ (ლ.) | 9 | 2 | 2 | 5 | 8-13 | 6 |
| „შახტიორი“ (დ.) | 9 | 1 | 4 | 4 | 6-12 | 6 |
| „პახტაკორი“ (ტ.) | 10 | 1 | 4 | 5 | 6-22 | 6 |
| „დინამო“ (მნ.) | 8 | 1 | 3 | 4 | 4-6 | 5 |
| „სპარტაკი“ (ორჯ.) | 9 | 0 | 3 | 6 | 6-18 | 3 |

## ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

## ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ქალთა VI საერთაშორისო საშადრაკო ტურნირი.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ლ. წეროძემ ჩაატარა წილისყრა, რომელმაც ასეთი შედეგები მოგვცა:

1. ბულგარეთის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ა. გეორგიევა, 2. ოსტატი ც. კობაიძე, 3. საქართველოს ჩემპიონი ც. ჯანაბრიშვილი, 4. სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია, 5. საერთაშორისო ოსტატი ა. ნიკოლაუ (რუმინეთი), 6. პოლონეთის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი კ. რაძიკოვსკა, 7. თ. ხუციშვილი, 8. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი ო. რუბცოვა (მოსკოვი), 9. თბილისის ჩემპიონი ლ. კოროშინაძე, 10. საერთაშორისო ოსტატი ო. ანდრიევა (ხარკოვი), 11. მ. მერლინი (იუგოსლავია), 12. საერთაშორისო ოსტატი ე. რუბცოვა (მოსკოვი)., 13. ოსტატი ე. კაკაბაძე, 14. ნ. ჩიქობავა.

ამრიგად, დღეს პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან: გეორგიევა-ჩიქობავა, კობაიძე-კაკაბაძე, ჯანაბრიშვილი-ე. რუბცოვა, ალექსანდრია-მერლინი, ნიკოლაუ-ანდრეევა, რაციონალური — ფაუსტი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური (ორნის და ამბროლაურის სახალხო თეატრების წარმოდგენა) — ნეკის შავარდენი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბაბზარული ფირფიტა, მოზარდ მაყურებელთა ქართული — როცა მთავრდება ბავშვობა (№ 61 აბონ. დილის 10 ს.), ჯართი (№ 18 და 58-ე აბონ. საღ. 6 ს.), თოჯინების ქართული — ამბავი ბრიყვი ძმობილებისა (11 ს. 51-ე სკოლა, 1 ს. მე-17, 58-ე და 111-ე სკოლები, 3 ს. მე-100 სკოლა).

## ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲕᲘᲢᲔᲑᲡᲙᲘᲡ, 19 მაისი. (სპეც. კორ.). ვაჟთა საკავშირო საშადრაკო ჩემპიონატის ვიტებსკის ნახევარფინალის მეცხრე ტურში უბილავამ დაამარცხა პეტროსიანი, ბუტნორიუსმა — შუსტერმანი. მიკენას-ეტრუკის, გრიგორიანი-ფილიანდინოვისა და ჩეჩელიანი-კაპენგუტის პარტიებში მიტოქმენი ყიმში შეთანხმდნენ. 9 ტურის შემდეგ ლიდერია ბაგიროვი — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია.

## ᲡᲐᲛᲘ ᲥᲣᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲘᲗ

ᲑᲣᲨᲘᲜ ლიუბლიანაში გაიმართა მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ჯალამბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდები. სამი ქულის სხვაობით (75:72) გაიმარჯვეს ამერიკელმა კალათბურთელებმა.

## ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

გთხოვთ ნება დაგვრთოთ თქვენი გაზეთის მეშვეობით გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ ყველა მეგობარს, ამხანაგსა და ორგანიზაციას, რომლებმაც თანაგრძნობა გამოთქვეს გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძის გარდაცვალების გამო.

Გ. ᲙᲐᲠᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ.




## ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

„ᲡᲝᲙᲝᲣᲜᲯᲘᲩᲐᲢᲘᲡ“ სააგენტოებში, განყოფილებებსა და ხელმოწერის მისაღებ პუნქტებში, საფოსტო განყოფილებებსა და ფოსტომტაში, სამუშაო და სწავლების ადგილას საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გრძელდება ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1970 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ხელმოწერა მიიღება: ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ — 12 ივნისამდე, ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲖᲔ — 1 ივნისამდე, ᲛᲝᲚᲐᲒᲨᲘᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ — 10 ივნისამდე, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ — 21 ივნისამდე.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲝᲠᲛᲓᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲗᲕᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“.

## ᲠᲐᲓᲘᲝ

22 ᲛᲐᲘ